განკარგულება:**g-81.81220331**
თარიღი:**02/02/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №11

ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის ცენტრის და ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის და მომავალი ამოცანების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მიღებული იქნას ცნობად. (დანართი თან ერთვის).

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ (მერი - გიორგი ნემსაძე, მერის მოადგილე - რევაზ ახვლედიანი) მომავალში მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, შესაბამისი ა(ა)იპ-ების მუშაობა წარმართოს საქმიანობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

3. ამ კუთხით აუცილებელია უახლოეს პერიოდში მოხდეს კულტურის ცენტრის, ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მდგომარეობის ანალიზი და მომზადდეს წინადადებები კულტურის ცენტრის სრული რეაბილიტაციის და ესთეტიკური აღზრდის ცენტრის კაპიტალური რემონტის სამუშაოების ჩატარების მიზნით.

4. ა(ა)იპების ხარჯვით ნაწილში ბიუჯეტის ფინანსური პრობლემების გამო აუცილებელია მოხდეს პრიორიტეტების გამოყოფა და შესაბამისი პროექტების უპირატესი დაფინანსება. ეს უნდა შეეხოს ღონისძიებებს, ასევე მატერიალურ აღჭურვილობას.

5. კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი და წარმატებული ადამიანების წახალისების მიზნით მომზადდეს წინადადებები და დაისვას საკითხი კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე შემდგომი რეაგირებისათვის.

6. განკარგულების გასჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარმოდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი ქ. ცაგერი რუსთაველის ქ. №69).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი